

ახალგაზრდა მენეჯერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო ბრანტები

პროგრამა და პირობები

## სარჩევი

1. მიზანი . . . . .	3
2. კონკურსის პირობები და კონკურსში მონაწილეობა . . . . .	3
3. დაფინანსება . . . . .	4
4. საკონკურსო განაცხადის წარდგენა . . . . .	5
5. შეფასება და მონიტორინგი . . . . .	6
6. კონკურსის ეტაპები და ვადები . . . . .	6
- დანართი 1 – განაცხადის ფორმა . . . . .	7
- დანართი 2 – საპროექტო წინადადება . . . . .	10
- დანართი 3 – პროექტის ბიუჯეტი . . . . .	11
- დანართი 4 – პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი . . . . .	12
- დანართი 5 – გრანტის მაძიებლის პროფესიული ბიოგრაფია (CV) . . . . .	13
- დანართი 6 – პროექტების შეფასების კრიტერიუმები . . . . .	15
- დანართი 7 – სამეცნიერო მიმართულებათა დეტალური კლასიფიკატორი . . . . .	16
- ფონდში წარსადგენი დოკუმენტაციის საკონტროლო ნუსხა . . . . .	23

## **I. მიზანი**

1.1. ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების პროგრამა (შემდგომში გრანტები) მიზნად ისახავს ქვეყანაში მეცნიერებაში ახალგაზრდა კადრების მოზიდვას და მათი სამეცნიერო პროექტების განხორციელების ხელშეწყობას საგრანტო დაფინანსების გზით.

1.2. გრანტების პროგრამა ითვალისწინებს ინდივიდუალურ გრანტებს ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო პროექტების მხარდასაჭერად.

1.3. გრანტები ახალგაზრდა მეცნიერთათვის ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. პროგრამის სრულ ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (სესფ). ფონდი უზრუნველყოფს: კონკურსის პირობების შემუშავებასა და კონკურსის გამოცხადებას, საკონსულტაციო სემინარების ჩატარებას, მიღებული პროექტების ექსპერტიზას, საექსპერტო შეფასების საფუძველზე დასაფინანსებელი პროექტების გამოვლენასა და სესფ-ის სამეცნიერო საბჭოზე წარდგენას, საბჭოს მიერ შერჩეული პროექტების საქართველოს პრეზიდენტთან დასამტკიცებლად წარდგენას, დამტკიცებული პროექტების ავტორებთან ხელშეკრულების გაფორმებას, დაფინანსებული პროექტების მიმდინარეობის მონიტორინგსა და შეფასებას.

## **II. კონკურსის პირობები და კონკურსში მონაწილეობა**

2.1. 2008 წელს დასაფინანსებელი პროექტებისათვის საკონკურსოდ შემოთავაზებულია შემდეგი მიმართულებები:

1. ქართველოლოგიური მეცნიერებები;
2. პუმანიტარული, ეკონომიკური და სოციალური მეცნიერებები;
3. მათემატიკა, მექანიკა, ტელეკომუნიკაციები, საინფორმაციო ტექნოლოგიები;
4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
5. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო;
6. სიცოცხლის შემსწავლელი და სამედიცინო მეცნიერებები;
7. საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები;
8. აგრარული მეცნიერებები.

2.2. სამეცნიერო გრანტები არის მხოლოდ ინდივიდუალური ტიპის;

2.3. ინდივიდუალური გრანტების პროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს (მაგისტრს, დოქტორანტს, დოქტორს და მათთან გათანაბრებულ პირებს), რომლებიც ეწევიან სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას.

2.4. გრანტის მაძიებლის ასაკი ფონდში პროექტის წარდგენის პერიოდში უნდა იყოს 35 წლამდე.

2.5. კონკურსში მონაწილეობის მიღება არ შეუძლიათ ბაკალავრს, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს.

2.6. ინდივიდუალური საგრანტო პროექტის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს. იმ შემთხვევაში, თუ პროექტის განხორციელება დაგეგმილია 12 თვეზე ნაკლებ პერიოდში, მისი მიმდინარეობის ვადები შეიძლება იყოს 3, 6 ან 9 თვე

2.7. თითოეულ პიროვნებას შეუძლია წარმოადგინოს მხოლოდ ერთი პროექტი ერთ საგრანტო კონკურსში.

2.8. პროექტები შესაძლოა განხორციელდეს როგორც ინდივიდუალურად, ასევე **ორგანიზაციის ბაზაზე**. ამ შემთხვევაში საჭიროა ფონდს წარედგინოს ამ ორგანიზაციის მიერ გაცემული თანხმობა პროექტის განხორციელებაზე. ნებისმიერ შემთხვევაში გრანტის მიმღები იქნება ინდივიდუალური პირი/ახალგაზრდა მეცნიერი.

2.9. ორგანიზაციის მონაწილეობის შემთხვევაში, გრანტის მიმღები თავად გადაურიცხავს ორგანიზაციას პროექტის დამტკიცებული ბიუჯეტის არაუმეტეს 5%-ისა, პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ზედნაღები ხარჯების უზრუნველსაყოფად.

2.10. გრანტის სახსრებით შექმნილი ქონება რჩება პროექტის წარმომდგენ ფიზიკურ პირს.

2.11. გრანტის დამტკიცების შემდგომ ფონდი გააფორმებს ხელშეკრულებას გრანტის მიმღებთან, სადაც გაიწერება ურთიერთვალდებულებების დეტალური პირობები.

2.12. იმ შემთხვევაში თუ დარღვეული იქნება კონკურსში მონაწილეობის პირობები, ფონდი იტოვებს უფლებას არ განიხილოს შემოსული პროექტი.

### **III. დაფინანსება**

3.1. თითოეული გრანტის მაქსიმალური ოდენობაა 15 000 ლარი წელიწადში. თანხის ოდენობა იცვლება პროექტის განხორციელების ვადებიდან გამომდინარე და გრანტის მაქსიმალური ოდენობაა:

- 3-თვიან პროექტებზე - 5 000 ლარი;
- 6-თვიან პროექტებზე - 9 000 ლარი;
- 9-თვიან პროექტებზე - 12 000 ლარი;
- 12-თვიან პროექტებზე – 15 000 ლარი.

3.2. პროექტის ფარგლებში ფინანსდება:

- 3.2.1. მეცნიერის ანაზღაურება (თანხის ოდენობა არაა შეზღუდული, თუმცა ბიუჯეტის სხვა მუხლებთან ერთად უნდა შეესაბამებოდეს პროექტის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას)<sup>1</sup>;
- 3.2.2. კაპიტალური ხარჯები (მოწყობილობა, სამუშაო ავეჯი, კომპიუტერი, ასლის გადამღები და სხვა)<sup>2</sup>;
- 3.2.3. მივლინება (ქვეყნის შიგნით და გარეთ)<sup>3</sup>
- 3.2.4. სხვა საქონელი და მომსახურება (მათ შორის: საკანცელარიო, რეაქტივები და სხვა)<sup>4</sup>;
- 3.2.5. ზედნაღები ხარჯები.<sup>5</sup>

3.3. პროექტის ფარგლებში არ ფინანსდება:

- 3.3.1. შენობის, ოთახების რემონტი, მშენებლობა, რეკონსტრუქცია;
- 3.3.2. უძრავი ქონების და ავტომანქანის შეძენა;
- 3.3.3. სწავლის, ტრენინგის, საწევროებისა და სხვა საფასური;
- 3.3.4. ოფისის დაქირავების ან დაგირავების ხარჯი.

<sup>1</sup> პროექტის განხორციელებისათვის, მეცნიერს შეუძლია მოიწვიოს პროექტში დამხმარე/ტექნიკური პერსონალი – ანაზღაურებით.

<sup>2</sup> კაპიტალური ხარჯიდან დაიფარება მხოლოდ 150 ლარზე მეტი ერთეულის ღირებულების ან/და 1 წელზე მეტი მოხმარების ვადის მქონე საქონლის შესყიდვა.

<sup>3</sup> ქვეყნის შიგნით და გარეთ სამივლინებო ხარჯების შედგენისას ისარგებლეთ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის №231 ბრძანებულებით: “მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ”.

<sup>4</sup> სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯიდან დაიფარება მხოლოდ 150 ლარამდე ერთეულის ღირებულების ან/და 1 წლამდე მოხმარების ვადის მქონე საქონლის შესყიდვა და მომსახურება.

<sup>5</sup> იმ შემთხვევაში, თუ პროექტი ხორციელდება ორგანიზაციის ბაზაზე. პროექტის ტექნიკური უზრუნველყოფისათვის ორგანიზაციას გადაურიცხება პროექტის დამტკიცებული ბიუჯეტის არაუმეტეს 5%-ისა.

- 3.4. გრანტის თანხა გაიცემა ტრანშების სახით, ყოველკვარტალურად. პროექტის მიმღები პროექტის განხორციელების პერიოდში ვალდებულია ფონდში წარადგინოს ყოველკვარტალური პროგრამული და ფინანსური და საბოლოო სამეცნიერო, პროგრამული და ფინანსური ანგარიშები, ფონდის მიერ წინასწარ მოთხოვნილი ფორმატით პირველად დოკუმენტაციასთან ერთად.
- 3.5. 3-თვიანი პროექტის შემთხვევაში, დასაფინანსებლად შერჩეული პროექტის ავტორს ავანსის სახით გადაერიცხება დამტკიცებული ბიუჯეტის ნაწილი (გრანტის მოცულობას გამოკლებული გრანტის მიმღების კუთვნილი შრომის ანაზღაურების 2/3). საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება წინასწარდადგენილი ფორმატით პირველადი დოკუმენტაციის თანხლებით ფინანსური და პროგრამული ანგარიშების ფონდში წარმოდგენისა და ფონდის მიერ მათი დამტკიცების შემდეგ.
- 3.6. ექვსი, ცხრა და თორმეტ-თვიანი პროექტების შემთხვევაში, დასაფინანსებლად შერჩეული პროექტის ავტორს პროექტის განხორციელების ბოლო კვარტალში ავანსად გადაერიცხება ბოლო ტრანშის ნაწილი (ბოლო ტრანშის მოცულობას გამოკლებული გრანტის მიმღების კუთვნილი შრომის ანაზღაურების 2/3). საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება წინასწარდადგენილი ფორმატით პირველადი დოკუმენტაციის თანხლებით ფინანსური და პროგრამული ანგარიშების ფონდში წარმოდგენისა და ფონდის მიერ მათი დამტკიცების შემდეგ.
- 3.7. განსახილველად მიიღება მხოლოდ სამეცნიერო/კვლევითი სახის პროექტები, ნებისმიერი სხვა სახის პროექტები კონკურსში მონაწილეობისთვის არ განიხილება.

#### **IV. საკონკურსო განაცხადის წარდგენა**

- 4.1. ფონდში საკონკურსო განაცხადი წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი და ელექტრონული ფორმით ქართულ ენაზე 2 ეგზემპლარად. განაცხადის ელექტრონული ვერსია წარმოდგენილი უნდა იყოს კომპაქტ-დისკზე.
- 4.2. კონკურსში მონაწილეობისათვის გრანტის მაძიებელმა უნდა წარმოადგინოს:
- ა) შევსებული განაცხადის ფორმა (დანართი 1);
  - ბ) საპროექტო წინადადება (დანართი 2);
  - გ) პროექტის ბიუჯეტი (დანართი 3);
  - დ) პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი (დანართი 4);
  - ე) პროფესიული ავტობიოგრაფია (CV) (არაუმეტეს 2 გვერდისა) (დანართი 5);
  - ვ) პროექტის რეზიუმე ინგლისურ ენაზე (არაუმეტეს 2 გვერდისა);
  - ზ) გრანტის მაძიებლის პირადობის მოწმობის სრული ასლი;
  - თ) გრანტის მაძიებლის მუშაობის და/ან სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტი;
  - ი) იმ ორგანიზაციის თანხმობის დამადასტურებელი დოკუმენტი, სადაც განხორციელდება პროექტი (ორგანიზაციის პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით) (იმ შემთხვევაში, თუ პროექტი ხორციელდება ორგანიზაციის ბაზაზე);
  - კ) თანადაფინანსების შემთხვევაში, მისი დამადასტურებელი დოკუმენტი.
- 4.3. განაცხადები, რომლებიც არ იქნება წარმოდგენილი მოთხოვნილი პირობების შესაბამისად, კონკურსში მონაწილეობისთვის არ განიხილება.

## **V. შეფასება და მონიტორინგი:**

- 5.1. კონკურზე წარდგენილ საპროექტო დოკუმენტაციას აფასებენ ინდივიდუალური ექსპერტები (არანაკლებ ორისა). შეფასების საფუძველზე, პროექტებს დასაფინანსებლად გამოავლენს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (*იხ. დანართი 6 – შეფასების კრიტერიუმები*).
- 5.2. დაფინანსებული პროექტების მონიტორინგს ახორციელებს ეროვნული სამეცნიერო ფონდი; მონიტორინგი ხორციელდება ფონდში წარდგენილი სავალდებულო ყოველკვარტალური და საბოლოო პროგრამული და ფინანსური და სამეცნიერო ანგარიშების შესწავლისა და პროექტის მიმდებთან ვიზიტის საფუძველზე.
- 5.3. თითოეული კვარტალური ანგარიში შეიცავს ორ ნაწილს: პროგრამულსა და ფინანსურს (ანგარიშების ფორმას ფონდი მიაწვდის დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების ავტორებს). სავალდებულო კვარტალური ანგარიშების წარმოდგენლობის შემთხვევაში, ფონდი არ გადაურიცხავს გრანტის მიმღებს მომდევნო ტრანშს.
- 5.4. გრანტის მიმღები ვალდებულია პროექტის მსვლელობისას და/ან მისი დასრულებიდან 1 თვის ვადაში ჩაატაროს პროექტის პრეზენტაცია/საჯარო ლექცია/სემინარი. ასეთ შემთხვევებში ფონდი უზრუნველყოფს ღონისძიების ტექნიკურ მხარდაჭერას.
- 5.5. პროექტის მსვლელობისას ყალბი მონაცემების აღმოჩენის შემთხვევაში, ფონდი შეაჩერებს გრანტის მიმღებთან დადებულ ხელშეკრულებას და იმოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## **VI. კონკურსის ეტაპები და ვადები:**

- 6.1. საკონკურსო მასალები ფონდში წარმოდგენილი უნდა იქნას 2007 წლის 5 ნოემბრის ჩათვლით, 18:00 საათამდე. აღნიშნული ვადის შემდგომ წარმოდგენილი პროექტები საკონკურსოდ არ მიიღება.
- 6.2. კონკურსის საბოლოო შედეგების გამოცხადება – არაუგვიანეს 2007 წლის დეკემბერი.
- 6.3. გამარჯვებული პროექტების ავტორებთან ხელშეკრულების გაფორმება და პირველი ტრანშის გადარიცხვა – დეკემბერი 2007 წ. და იანვარი 2008 წ.
- 6.4. პროექტების დაწყების პერიოდი – იანვარი 2008 წ.<sup>6</sup>

<sup>6</sup> გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ყველა პროექტი დასრულებული უნდა იყოს 2009 წლის 1 იანვრამდე

**ბანაცხადის ფორმა**

1.	პროექტის დასახელება (ქართულად):	
2.	პროექტის დასახელება (ინგლისურად):	
3.	სამეცნიერო კვლევის მიმართულება (ცნობარის პუნქტი 2.1. მიხედვით)	
4.	სამეცნიერო კვლევის ძვე-მიმართულება (დანართი 7-ის მიხედვით)	

**1. ინფორმაცია ბრანტის მაკიელების შესახებ**

1.	სახელი (ქართულად):	
2.	სახელი (ინგლისურად):	
3.	გვარი (ქართულად):	
4.	გვარი (ინგლისურად)	
5.	მამის სახელი:	
6.	პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი და პირადი ნომერი:	
7.	დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი):	
8.	დაბადების ადგილი (ქალაქი, ქვეყანა):	
9.	მოქალაქეობა:	
10.	საცხოვრებელი ადგილის მისამართი (ინდექსის მითითებით):	
11.	ტელეფონი, ფაქსი:	
12.	ელექტრონული ფოსტა:	
13.	აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი:	
14.	ამჟამინდელი საქმიანობა (თანამდებობა): <sup>7</sup>	
15.	ორგანიზაციის დასახელება:	

<sup>7</sup> იმ შემთხვევაში, თუ რამოდენიმე ორგანიზაციაში მუშაობთ, გთხოვთ მიუთითოთ ყველა მათგანში დაკავებული თანამდებობა და ორგანიზაციის დასახელება.

**2. ინფორმაცია პროექტის შესახებ**

3	პროექტის ქვე-მიმართულება (დანართი 7-ის მიხედვით):	
4	პროექტის ხანგრძლივობა:	_____ თვე
5	პროექტის დაწყებისა ვადა:	თვე, წელი
6	პროექტის დასრულების ვადა:	თვე, წელი
7	ფონდიდან მოთხოვნილი თანხა (ლარი):	
8	თანადაფინანსების არსებობა:	კი <input type="checkbox"/> არა <input type="checkbox"/>
9	თანადაფინანსება (ლარი):	
10	პროექტში მონაწილე დამხმარე/ტექნიკური პერსონალის რაოდენობა:	
11	პროექტში მონაწილე ორგანიზაციის დასახელება (ქართულად):	
12	პროექტში მონაწილე ორგანიზაციის დასახელება (ინგლისურად):	
13	ორგანიზაციის იურიდიული სტატუსი:	
14	ორგანიზაციის მისამართი:	
15	ორგანიზაციის ტელეფონი, ფაქსი, ელ-ფოსტა:	
16	ორგანიზაციის ვებ-გვერდი:	
17	ორგანიზაციის ხელმძღვანელი (სახელი, გვარი):	
18	წარდგენილი გქონდათ თუ არა იგივე პროექტი სხვა კონკურსებში (თუ კი, გთხოვთ, ქვემოთ მიუთითოთ დონორი ორგანიზაციის დასახელება და პროექტის წარდგენის დრო)	კი <input type="checkbox"/> არა <input type="checkbox"/>
19	მონაწილეობთ თუ არა ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ <u>სახელმწიფო სამეცნიერო ბრანტების კონკურსის</u> საფუძველზე 2006 წელს დაფინანსებულ პროექტ(ებ)ში? (თუ კი, გთხოვთ მიუთითოთ პროექტის სარეგისტრაციო ნომერი და კოდი)	
20	მონაწილეობთ თუ არა ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ 2007 წელს გამოცხადებულ <u>სახელმწიფო სამეცნიერო ბრანტების კონკურსში</u> ? (თუ კი, გთხოვთ მიუთითოთ პროექტის სარეგისტრაციო ნომერი და კოდი)	

**3. პროექტის მონაწილეები<sup>8</sup>**

	სახელი, გვარი	როლი პროექტში	პროექტში მონაწილეობის პერიოდი (დღეები ან თვეები)	ჯამური ანაზღაურება (ლარი)
1.		ახალგაზრდა მეცნიერი/პროექტის ხელმძღვანელი		
2.				
3.				

<sup>8</sup> პროექტი ინდივიდუალურია, თუმცა ახალგაზრდა მეცნიერს შეუძლია პროექტზე სამუშაოდ აიყვანოს ტექნიკური/დამხმარე პერსონალი და აანაზღაუროს მათი მუშაობა გრანტის სახსრებით.

**4. ინფორმაცია პროექტის სრული ბიუჯეტის შესახებ**

	ფონდიდან მოთხოვნილი თანხა სულ (ლარი)	ჯამი _____
1.	- შრომის ანაზღაურება/ხელფასი / სულ	
2.	- კაპიტალური ხარჯები / სულ	
3.	- მიველინება / სულ	
4.	- სხვა საქონელი და მომსახურება / სულ	
5.	- ზედნადები ხარჯები /სულ (გრანტის ოდენობის არაუმეტეს 5%) (ასეთის საჭიროების შემთხვევაში)	

**5. ინფორმაცია პროექტის განხორციელების ბეზმა-ბრაზიკის შესახებ**

	I კვარტალი		II კვარტალი		III კვარტალი		IV კვარტალი	
	განსახორციელებელი სამუშაოების ჩამონათვალი	თანხა სულ I კვარტალი	განსახორციელებელი სამუშაოების ჩამონათვალი	თანხა სულ II კვარტალი	განსახორციელებელი სამუშაოების ჩამონათვალი	თანხა სულ III კვარტალი	განსახორციელებელი სამუშაოების ჩამონათვალი	თანხა სულ IV კვარტალი
1.								
2.								
3.								
4.								
5.								
6.								
<b>ანგარიშების მასალები</b>								
1								
2								
3								

ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ მოწოდებული ინფორმაცია ზუსტია და არ შეიცავს ყალბ მონაცემებს. ამასთანავე, ფონდს ვაძლევ უფლებას, ნებისმიერ დროს გადაამოწმოს მოწოდებული ინფორმაციის სიზუსტე. ვაცნობიერებ, რომ ფონდის მიერ ნებისმიერი სახის ყალბი მონაცემის აღმოჩენის შემთხვევაში, ჩემი განაცხადი საკონკურსოდ არ განიხილება

\_\_\_\_\_ თარიღი

\_\_\_\_\_ ხელმოწერა

## საპროექტო წინადადება

საპროექტო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს მოცემული სტრუქტურის მიხედვით არაუმეტეს შვიდი A4 ზომის გვერდისა.<sup>9</sup>

1. პროექტის სახელწოდება;
2. პროექტის აქტუალობა და უნიკალობა;
3. საერთაშორისო გამოცდილების მიმოხილვა;
4. მიზნები, ამოცანები და მოსალოდნელი შედეგები;
5. მეთოდოლოგია, მიდგომები;
6. განხორციელების გეგმა-ეტაპები;
7. პროექტის საბოლოო შედეგები და მათი გამოყენება;
8. პროექტის ბენეფიციარები (ის უწყებები და პირები, ვინც ისარგებლებენ პროექტის შედეგებით);
9. პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები, მათ შორის მივლინებები, სამუშაო შეხვედრები, პრეზენტაცია და სხვ;
10. პროექტის სამომავლო განვითარების გეგმა (მიუთითეთ გრანტის პერიოდის დასრულების შემდგომ რა განვითარება ელის პროექტის მიღებულ შედეგებს; მიუთითეთ მათ შორის პროექტის სამომავლო კომერციალიზაციის შესაძლებლობები).

<sup>9</sup> გთხოვთ ელექტრონულ ვერსიებში ტექსტებში გამოიყენოთ თავსებადი ქართული ფონტი (AcadNusx), ზომა–12.

## პროექტის ბიუჯეტი

1. ფორმა წარმოდგენილია ზოგადად, თქვენი პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, დაამატეთ ან ამოიღეთ შესაბამისი მუხლები და ქვემუხლები.
2. გთხოვთ კომენტარის გრაფაში სიტყვიერად აღწეროთ თითოეული ხარჯის მიზნობრიობა.
3. ფორმა ივსება ლარებში და გთხოვთ თეთრები დაამრგვალოთ წესისამებრ.

### 1. ჯამური ბიუჯეტი პროექტის განხორციელების პერიოდში (შეავსეთ მხოლოდ თეთრი ფონის მქონე გრაფები!)

ხარჯის კატეგორია	ფონდიდან მოთხოვნილი თანხა (ლარი)					თანადაფინანსება (ჯამური, ლარი)	კომენტარი
	პირველი კვარტალი	მეორე კვარტალი	მესამე კვარტალი	მეოთხე კვარტალი	ჯამური ღირებულება		
<b>1 შრომის ანაზღაურება</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	
მ.შ. გრანტის მადიებელი					0		
მ.შ. დამხმარე ტექნიკური პერსონალი 1					0		
მ.შ. დამხმარე ტექნიკური პერსონალი 2					0		
<b>2 კაპიტალური ხარჯები (ნუსხა პირობითია)</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	
აპარატურა (მიუთითეთ დასახელება, გამოშვების წელი, კონფიგურაცია)					0		
სამუშაო ავეჯი (დააკონკრეტეთ)					0		
კომპიუტერი (მიუთითეთ დასახელება, კონფიგურაცია)					0		
<b>3 მივლინება*</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	
ქვეყნის შიგნით (მიუთითეთ სად)					0		
ქვეყნის გარეთ (მიუთითეთ სად)					0		
<b>4 საქონელი და მომსახურება (ნუსხა პირობითია)</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	
საკანცელარიო საქონელი					0		
ბანკის მომსახურების საკომისიო					0		
ინტერნეტი					0		
რეაქტივები და მასალები					0		
საგამომცემლობო ხარჯი					0		
კომპიუტერის პერიფერიული მოწყობილობები (UPS, კარტრიჯი, დისკები და ა.შ.)					0		
<b>5 ზედნადები ხარჯები (პროექტის ჯამური ბიუჯეტის არაუმეტეს 5%-ისა, რომელიც გადაერიცხება პროექტის განმახორციელებელ ორგანიზაციას)</b>					<b>0</b>		

**სულ (ჯამური ბიუჯეტი) 0**

კონტროლი! ზედნადები ხარჯის ხვედრითი წილი პროექტის ჯამურ ბიუჯეტში № IV/0! %

\* - მივლინების ხართალირცხვისას ისარგებლეთ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის №23 ბრძანებულებით "მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ" შესაბამისად



**ბრანტის მაქიშელის პროფესიული ბიოგრაფია (CV)**

შეავსეთ მოცემული თანმიმდევრობით (არაუმეტეს ორი გვერდისა)

1. სახელი, გვარი

\_\_\_\_\_

2. განათლება (საჭიროების შემთხვევაში დაამატეთ სტრიქონები)

	წლები	უმაღლესი სასწავლებლის დასახელება	სპეციალობა	აკადემიური ხარისხი
1				
2				

3. სამუშაო გამოცდილება (საჭიროების შემთხვევაში დაამატეთ სტრიქონები)

	წლები	თანამდებობა	დეპარტამენტის/განყოფილების დასახელება	ორგანიზაციის დასახელება
1				
2				

4. პუბლიკაციების რაოდენობა: \_\_\_\_\_, მათ შორის იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში \_\_\_\_\_

5. პუბლიკაციების ჩამონათვალი კონკურსანტის შეხედულებისამებრ (არაუმეტეს 10-სა)

	წელი	პუბლიკაციის დასახელება	გამომცემლობა	პუბლიკაციის სახე (სტატია, მონოგრაფია, სახელმძღვანელო და სხვა)
1				
2				

6. გამოგონებების, პატენტების ჩამონათვალი კონკურსანტის შეხედულებისამებრ (არაუმეტეს 10-სა)

	წელი	პუბლიკაციის დასახელება	გამომცემლობა	პუბლიკაციის სახე (სტატია, მონოგრაფია, სახელმძღვანელო და სხვა)
1				
2				

7. სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა (არაუმეტეს 10-ისა)

	წლები	როლი პროექტში	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია
1				
2				

8. საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა (არაუმეტეს 10-ისა)

	წელი	ღონისძიების დასახელება	მოსხენების სათაური	ღონისძიების ჩატარების ადგილი
1				
2				

9. უცხო ენების ცოდნა (აღნიშნეთ შესაბამისი გრაფა)

№	ენის დასახელება	დამწყები	ლექსიკონით	საშუალოდ	კარგად	თავისუფლად
1.						
2.						

10. დამატებითი ინფორმაცია სურვილისამებრ (ჯილდოები, სტიპენდიები, სხვადასხვა სამეცნიერო ორგანიზაციების წევრობა და სხვა)

**პროექტების შეფასების კრიტერიუმები**

	შეფასების კრიტერიუმები	ქულა
1.	ნათლად არის ჩამოყალიბებული პრობლემის არსი, მიზანი და ამოცანები	14
2.	აქვს მაღალი მეცნიერული და/ან პრაქტიკული მნიშვნელობა	24
3.	ნათლად არის ჩამოყალიბებული მოსალოდნელი შედეგები, მათი მიღწევისა და შეფასების მექანიზმები	21
4.	პროექტის განხორციელება შემოთავაზებული დროისა და ბიუჯეტის ფარგლებში რეალისტურია	11
5.	ნათლად არის აღწერილი ძირითადი სამეცნიერო-ტექნიკური მეთოდები, ხოლო არსებული და მოთხოვნილი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენება რეალისტურია	13
6.	პროექტის განხორციელებისათვის გრანტის მაძიებელს გააჩნია სათანადო პროფესიული განათლება და კვალიფიკაცია	17
	სულ	100

**სამეცნიერო მიმართულებები და ქვემიმართულებები**

ა) სამეცნიერო მიმართულებები

9. ქართველოლოგიური მეცნიერებები;
10. ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სოციალური მეცნიერებები;
11. მათემატიკა, მექანიკა, ტელეკომუნიკაციები, საინფორმაციო ტექნოლოგიები;
12. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
13. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო;
14. სიცოცხლის შემსწავლელი და სამედიცინო მეცნიერებები;
15. საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები;
16. აგრარული მეცნიერებები.

ბ) სამეცნიერო ქვემიმართულებების კოდები

<b>1-000</b>	<b>ქართველოლოგიური მეცნიერებები</b>
1-100	საქართველოს ისტორია, საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია
1-110	ქართული ლიტერატურა
1-120	ქართველური ენები
1-130	ხელოვნებათმცოდნეობა
1-140	ეთნოგრაფია
<b>2-000</b>	<b>ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სოციალური მეცნიერებები</b>
2-100	ონტოლოგია და შემეცნების თეორია
2-101	ფილოსოფიის ისტორია
2-102	ესთეტიკა
2-103	ეთიკა
2-104	რელიგიის ფილოსოფია
2-105	მეცნიერების და ტექნიკის ფილოსოფია
2-106	პოლიტიკა და სამართლის ფილოსოფია
2-107	ლოგიკა
2-108	კულტურის ფილოსოფია
2-109	სოციალური ფილოსოფია
2-200	ლიტერატურათმცოდნეობა
2-210	ენათმეცნიერება
2-300	მსოფლიო ისტორია, მისი წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია
2-310	არქეოლოგია

2-320	ეთნოგრაფია, ეთნოლოგია და ანთროპოლოგია
2-400	თეატრალური ხელოვნება
2-401	მუსიკალური ხელოვნება
2-402	ეკრანის ხელოვნება
2-403	სახვითი და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება
2-404	ხელოვნების თეორია და ისტორია
2-405	ტექნიკური ესთეტიკა და დიზაინი
2-406	ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლების რესტავრაცია და რეკონსტრუქცია
2-407	არქიტექტურის თეორია და ისტორია
2-500	ზოგადი ფსიქოლოგია, ფსიქოლოგიის ისტორია
2-510	პიროვნების ფსიქოლოგია
2-520	დიფერენციალური ფსიქოლოგია, ფსიქოდიანოსტიკა
2-530	კორექციული ფსიქოლოგია
2-540	სოციალური ფსიქოლოგია
2-550	პედაგოგიური ფსიქოლოგია
2-560	სამედიცინო ფსიქოლოგია
2-600	მაკროეკონომიკა
2-601	ეკონომეტრიკა
2-602	ფინანსები, კრედიტი, ფულის მიმოქცევა
2-603	სტატისტიკა, საბუღალტრო აღრიცხვა
2-604	საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები
2-605	რეგიონული ეკონომიკა
2-606	ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის ეკონომიკა
2-607	შრომის ეკონომიკა
2-608	მიკროეკონომიკა და მარკეტინგი
2-609	სამრეწველო წარმოების ეკონომიკა
2-610	აგრარული წარმოების ეკონომიკა
2-611	სამშენებლო წარმოების ეკონომიკა
2-612	ტრანსპორტის ეკონომიკა
2-613	კავშირგაბმულობის ეკონომიკა
2-614	ვაჭრობის ეკონომიკა
2-615	სოციალური ინფრასტრუქტურის ეკონომიკა
2-700	სოციოლოგია
2-710	სოციალური ინსტიტუტები და სტრუქტურები
2-720	დემოგრაფია
2-730	კულტურული და სოციალური ანთროპოლოგია
2-740	სოციოლოგია და რელიგიის ისტორია
2-750	ურბანული და რეგიონალური დაგეგმვა
2-760	პოლიტიკური სოციოლოგია
2-770	საზოგადოებრივი აზრი და მედია
2-780	კულტურის, განათლების და შემეცნების სოციოლოგია
2-790	მართვის სოციოლოგია
2-800	პოლიტიკური მეცნიერებები
2-900	იურისპრუდენცია და სამართლის თეორია
2-910	სამართლის ისტორია, კანონმდებლობები, კონსტიტუციური სამართალი
2-920	საერთაშორისო სამართალი
2-930	სექტორული სამართალი (სამოქალაქო, კერძო, სისხლის, საფინანსო, საგადასახადო და ა.შ.)

2-940	პედაგოგიკის თეორია და მეთოდოლოგია
<b>3-000</b>	<b>მათემატიკა, მექანიკა, ტელეკომუნიკაციები, საინფორმაციო ტექნოლოგიები</b>
3-100	მათემატიკური ანალიზი
3-101	დიფერენციალური განტოლებები
3-102	მათემატიკური ფიზიკა
3-103	გეომეტრია და ტოპოლოგია
3-104	ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა
3-105	მათემატიკური ლოგიკა, ალგებრა და რიცხვთა თეორია
3-106	გამოთვლითი მათემატიკა. რიცხვითი მეთოდები.
3-107	მათემატიკური კიბერნეტიკა
3-108	თეორიული მექანიკა
3-109	უწყვეტ გარემოთა მექანიკა
3-110	ბიომექანიკა
3-111	მათემატიკური მოდელირება.
3-112	ტელეკომუნიკაციური სისტემები და ქსელები
3-113	საინფორმაციო ტექნოლოგიები
3-114	მართვის პროცესები
3-115	გამოთვლითი მანქანების, სისტემების, კომპლექსებისა და ქსელების მათემატიკური და პროგრამული უზრუნველყოფა
3-116	მონაცემთა ბაზები და მათი გამოყენება
<b>4-000</b>	<b>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</b>
4-100	თეორიული ფიზიკა
4-110	რადიოფიზიკა, ფიზიკური ელექტრონიკა, აკუსტიკა
4-120	ოპტიკა, კვანტური ელექტრონიკა
4-130	მყარი სხეულების და კვანტური სითხეების ფიზიკა
4-140	პლაზმის ფიზიკა და ქიმია
4-150	დაბალი ტემპერატურების ფიზიკა
4-160	ნახევარგამტარების და დიელექტრიკების ფიზიკა
4-170	მაგნიტური მოვლენების ფიზიკა
4-180	ელექტროფიზიკა
4-190	თბოფიზიკა და მოლეკულური ფიზიკა
4-200	ატომბირთვისა და ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკა
4-210	ქიმიური ფიზიკა
4-220	კრისტალოგრაფია, კრისტალთა ფიზიკა
4-230	პოლიმერების ფიზიკა
4-240	დამუხტულ ნაწილაკთა კონების ფიზიკა
4-250	ლაზერული ფიზიკა
4-260	ზევამტარობა
4-270	მაღალი ენერგიების ფიზიკა
4-280	არატრადიციული ენერგეტიკის ფიზიკურ-ტექნიკური საფუძვლები
4-290	გალაქტიკური ასტრონომია. ვარსკვლავები და ვარსკვლავთ შორის გარემო
4-300	ასტროფიზიკა
4-310	მზის სისტემის ფიზიკა და პელიოფიზიკა
4-320	მაღალი ენერგიების ასტროფიზიკა

4-400	არაორგანული ქიმია
4-410	ანალიზური ქიმია
4-420	ორგანული ქიმია
4-430	ფიზიკური ქიმია
4-440	ელექტროქიმია
4-450	მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმია
4-460	ელემენტორგანულ ნაერთთა ქიმია
4-470	ბიორგანული ქიმია
4-480	კოლოიდური ქიმია
4-490	ნავთობის ქიმია
4-500	რადიოქიმია
4-510	ქიმიური კინეტიკა და კატალიზი
4-520	კომპოზიციური მასალების ქიმია
4-530	მაღალი სისუფთავის ნივთიერებების ქიმია და ტექნოლოგია
4-540	ქრომატოგრაფია
4-550	მყარი სხეულების ქიმია
<b>5-000</b>	<b>დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო</b>
5-100	გეოგრაფია
5-110	მეტეოროლოგია
5-120	ოკეანოგრაფია
5-130	პალეონტოლოგია
5-140	სეისმოლოგია
5-150	გეოლოგია
5-151	საინჟინრო გეოლოგია
5-152	საბადოების გეოლოგია, ძებნა და ძიება
5-153	სასარგებლო ნამარხთა ძებნა-ძიების მეთოდები
5-154	მინერალოგია, კრისტალოგრაფია
5-155	ოკეანების და ზღვების გეოლოგია
5-160	გეოფიზიკა
5-170	გეოქიმია
5-180	ჰიდროლოგია
5-190	ატმოსფეროს ფიზიკა
5-200	კლიმატი და კლიმატის ცვლილება
5-210	დაბინძურება და აღდგენა
5-220	ნარჩენების მართვა
5-240	გარემოს მონიტორინგი და შეფასება
5-250	გარემოს დაცვის ტექნოლოგიები
<b>6-000</b>	<b>სიცოცხლის შემსწავლელი და სამედიცინო მეცნიერებანი</b>
6-100	ზოგადი ბიოლოგია
6-110	ზოოლოგია
6-120	ბოტანიკა
6-130	ჰიდრობიოლოგია და იხტიოლოგია
6-140	გენეტიკა
6-150	რადიობიოლოგია
6-160	განვითარების ბიოლოგია
6-170	ბიოსისტემათა ეკოლოგია

6-180	ბიოინფორმატიკა
6-190	ფიზიკურ-ქიმიური ბიოლოგია
6-200	გენების სტრუქტურა და გენთა ექსპრესიის მექანიზმი
6-210	მაღალმოლეკულური ნაერთების ბიოქიმია
6-220	ზოგადი ბიოქიმია
6-221	სამედიცინო ბიოქიმია
6-222	ნეიროქიმია
6-223	ენზიმოლოგია
6-230	ბიოფიზიკა
6-240	მოლეკულური ბიოლოგია
6-250	ბიოტექნოლოგია
6-260	მცენარეთა ფიზიოლოგია
6-270	ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია
6-271	უჯრედის ფიზიოლოგია
6-272	სენსორული სისტემების ფიზიოლოგია
6-273	ვისცერალური სისტემების ფიზიოლოგია
6-274	ზოგადი ნეიროფიზიოლოგია
6-275	ინტეგრირებული ნეიროფიზიოლოგია
6-276	თავის ტვინის უმაღლესი ფუნქციების ფიზიოლოგია
6-280	მიკროორგანიზმების ფიზიოლოგია და ბიოქიმია
6-301	მეანობა და გინეკოლოგია
6-302	ენდოკრინოლოგია
6-303	ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებანი
6-304	შინაგანი სნეულებანი
6-305	კარდიოლოგია
6-306	ჰიგიენა
6-307	თვალის სნეულებანი
6-308	პედიატრია
6-309	ინფექციური სნეულებანი
6-310	კანისა და ვენერიული სნეულებანი
6-311	ვირუსოლოგია
6-312	სამკურნალო ფიზიკულტურა და სპორტული მედიცინა
6-313	ნერვული სნეულებანი
6-314	ონკოლოგია
6-315	პათოლოგიური ანატომია
6-316	პათოლოგიური ფიზიოლოგია
6-317	ფსიქიატრია
6-318	სამედიცინო რადიოლოგია და რენტგენოლოგია
6-319	ტოქსიკოლოგია, ნარკოლოგია
6-320	სტომატოლოგია
6-321	ტრანსპლანტოლოგია და ორთოპედია
6-322	ჰისტოლოგია, ციტოლოგია, ემბრიოლოგია
6-323	სასამართლო მედიცინა
6-324	ადამიანის ანატომია
6-325	ფტიზიატრია და პულმონოლოგია
6-326	ქირურგია

6-327	ენდოსკოპიური ქირურგია
6-328	პლასტიკური ქირურგია
6-329	ნეიროქირურგია
6-330	ჰემატოლოგია და სისხლის გადასხმა
6-331	ეპიდემიოლოგია
6-332	სოციოლოგიური ჰიგიენა და ჯანდაცვის ორგანიზაცია
6-333	კურორტოლოგია და ფიზიოთერაპია
6-334	ბავშვთა ქირურგია
6-335	ალერგოლოგია, იმუნოლოგია
6-336	ანესტეზიოლოგია და რეანიმატოლოგია
6-337	რევმატოლოგია
6-338	უროლოგია, ნეფროლოგია
6-339	ტრანსპლანტოლოგია და ხელოვნური ორგანოები
6-340	გულ-სისხლძარღვთა ქირურგია
6-341	კლინიკურ-ლაბორატორიული დიაგნოსტიკა
6-342	რეპროდუქტოლოგია
6-343	პარაზიტოლოგია და ჰერმინტოლოგია
6-401	ფარმაკოლოგია
6-402	კლინიკური ფარმაკოლოგია
6-403	წამალთა ტექნოლოგია და ფარმაცევტული საქმის ორგანიზაცია
6-404	ფარმაცია, ფარმაცევტული ქიმია და ფარმაკოგნოზია.
<b>7-000</b>	<b>საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები</b>
7-100	მშენებლობა
7-101	სამშენებლო კონსტრუქციები, შენობები და ნაგებობები
7-102	თბოაირმომარაგება, ვენტილაცია, კონდენცირება, გაზომომარაგება და განათება
7-103	წყალმომარაგება, კანალიზაცია, წყლის რესურსების დაცვის სისტემების მშენებლობა
7-104	სამშენებლო მასალები და ნაკეთობები
7-105	ჰიდროტექნიკური და მელიორაციული მშენებლობა
7-106	საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლობა
7-107	სარკინიგზო გზების მშენებლობა
7-108	ხიდები და სატრანსპორტო გვირაბები
7-109	ჰიდრავლიკა და საინჟინრო ჰიდროლოგია
7-110	შენობა-ნაგებობათა არქიტექტურა
7-120	მანქანათმშენებლობა და მანქანათმცოდნეობა
7-121	მასალათმცოდნეობა
7-122	მექანიკური და ფიზიკა-ტექნიკური დამუშავების პროცესები, ჩარხები, იარაღები და ტექნოლოგიური მოწყობილობა
7-123	წნევით დამუშავების პროცესები და მანქანები
7-124	საშემდგომელო წარმოების ტექნოლოგია და მანქანები
7-130	წყალზედა, სახმელეთო და საჰაერო ტრანსპორტი
7-140	ხელსაწყოთმშენებლობა, მეტროლოგია, საინფორმაციო-გამზომი ხელსაწყოები და სისტემები
7-150	რადიოტექნიკა და კავშირგაბმულობა
7-160	ელექტროტექნიკა
7-170	ენერგეტიკა
7-180	სასარგებლო წიაღისეულის დამუშავება

7-190	მეტალურგია
7-191	ლითონმცოდნეობა და ლითონების თერმული დამუშავება
7-192	შავი, ფერადი და იშვიათი ლითონების მეტალურგია
7-193	სახამოსხმო წარმოება
7-194	ლითონთა წნევით დამუშავება
7-195	ფხვნილთა მეტალურგია და კომპოზიციური მასალები
7-200	ქიმიური ტექნოლოგია
7-201	ნავთობის გადამუშავების ტექნოლოგია
7-210	სასურსათო პროდუქტების ტექნოლოგია
7-220	საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მასალათა ნაწარმის ტექნოლოგია
7-230	ელექტრონიკა. ნახევარგამტარული ინტეგრალური სქემები და ხელსაწყოები
7-240	გეოდეზია
7-250	ნანომასშტაბური მასალები, ნანოსტრუქტურები, ნანოტექნოლოგია
7-260	ნანომასშტაბური მოვლენები
7-270	ნანობიოტექნოლოგია და ნანობიომედიცინა
<b>8-000</b>	<b>აგრარული მეცნიერებანი</b>
8-100	აგრონომია
8-101	მცენარეთა დაცვა
8-102	სელექცია, გენეტიკა
8-105	ნიადაგმცოდნეობა
8-110	ზოოტექნიკა
8-120	სატყეო მეურნეობა
8-130	ვეტერინარია
8-140	სოფლის მეურნეობის მექანიზაცია და ელექტრიფიკაცია
8-150	საკვების ხარისხი და უსაფრთხოება
8-160	აგრობიოტექნოლოგია
8-170	სასოფლო-სამეურნეო მედიორაცია

**ფონდში წარსაღებნი დოკუმენტაციის საკონტროლო ნუსხა**

*(ვთხოვთ, ფონდში განაცხადის წარდგენამდე გადაამოწმოთ საკონკურსო დოკუმენტები)*

	<b>წარსაღებნი საკონკურსო დოკუმენტები</b>	<b>ნაბეჭდი ვერსია</b>	<b>ელექტრონული ვერსია</b>
ა.	შევსებული განაცხადის ფორმა (დანართი 1)	Q	Q <i>საავალდებულოა</i>
ბ.	საპროექტო წინადადება (დანართი 2)	Q	Q <i>საავალდებულოა</i>
გ.	პროექტის ბიუჯეტი (დანართი 3)	Q	Q <i>საავალდებულოა</i>
დ.	პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი (დანართი 4)	Q	Q <i>საავალდებულოა</i>
ე.	პროფესიული ავტობიოგრაფია (CV) (არაუმეტეს 2 გვერდისა) (დანართი 5)	Q	Q <i>საავალდებულოა</i>
ვ.	პროექტის რეზიუმე ინგლისურ ენაზე (არაუმეტეს 2 გვერდისა)	Q	Q <i>საავალდებულოა</i>
ზ.	გრანტის მაძიებლის პირადობის მოწმობის სრული ასლი	Q	<i>არ არის საავალდებულო</i>
თ.	გრანტის მაძიებლის მუშაობის და/ამ სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტი	Q	<i>არ არის საავალდებულო</i>
ი.	იმ ორგანიზაციის თანხმობის დამადასტურებელი დოკუმენტი, სადაც განხორციელდება პროექტი (ორგანიზაციის პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით)	Q	<i>არ არის საავალდებულო</i>
კ.	თანადაფინანსების შემთხვევაში, მისი დამადასტურებელი დოკუმენტი, ორგანიზაციის რეკვიზიტებითა და პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით	Q	<i>არ არის საავალდებულო</i>

**შენიშვნა:** არასრულად და არასწორად წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ განიხილება საკონკურსოდ